

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი  
საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა: საჯარო მმართველობა

- საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა არის ერთ-ერთი დადასტურება იმისა, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო?
  - აზერბაიჯანთან დადებული ხელშეკრულებები.
  - 1993 წლის 6 ოქტომბერს საქართველოს „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ კანონის მიღება.
  - 1993 წლის 6 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა.
  - 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი.
- საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა ვადით არის არჩეული საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე?
  - 5 წლის ვადით.
  - ერთი საპარლამენტო სესიის ვადით.
  - საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ვადით.
  - ერთი საშემოდგომო და ერთი საგაზაფხულო სესიის ვადით.
- საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით როგორია ჩვენი ქვეყნის სახელწოდება?
  - საქართველო.
  - საქართველოს რესპუბლიკა.
  - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.
  - საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკა.
- საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რომელი კალენდარული თარიღის მდგომარეობით განისაზღვრება საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო ტერიტორია?
  - 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით.
  - 1918 წლის 26 მაისის მდგომარეობით.
  - 1801 წლის მდგომარეობით.
  - 1995 წლის 24 აგვისტოს მდგომარეობით.
- დაშვებულია თუ არა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება?
  - დიახ, დასაშვებია საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა გადაწყვეტილებით.
  - დიახ, დასაშვებია მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებით.
  - დიახ, დასაშვებია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოლაპარაკების გზით.
  - არა, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია.
- საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა პირობასთან არის დაკავშირებული საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაზღვრა?

- A. 1918 წლის 26 მაისის მდგომარეობით სახელმწიფო საზღვრებში აღდგენასთან.  
 B. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენასთან  
 C. საქართველოში ორპალატიანი პარლამენტის შექმნასთან.  
 D. საქართველოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან.
7. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები განსაზღვრულია:  
 A. ამ ორგანოთა დებულებებით.  
 B. კანონით საქართველოს მთავრობის სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ.  
 C. უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები საკანონმდებლო წესით არ არის განსაზღვრული და ისინი დამოკიდებულია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამ ორგანოთა წინაშე მდგომ ამოცანებზე.  
 D. საქართველოს კონსტიტუციით.
8. ქვემოთ ჩამოთვლილი მსჯელობიდან რომელი არ არის გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით?  
 A. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება თევზჭერა ოკეანესა და ღია ზღვაში.  
 B. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა.  
 C. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება ტურიზმი, კულტურა და სპორტი.  
 D. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება მიწის, წიაღისეულის და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა.
9. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, თევზჭერა ოკეანესა და ღია ზღვაში განეკუთვნება:  
 A. საქართველოს ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკების ერთობლივ კომპეტენციას.  
 B. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას.  
 C. განისაზღვრება საქართველოში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ.  
 D. ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციას.
10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება:  
 A. კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“.  
 B. ორგანული კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“.  
 C. კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“.  
 D. კონსტიტუციური შეთანხმებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“.
11. საქართველოს პარლამენტის პალატა – რესპუბლიკის საბჭო შედგება:  
 A. პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან.  
 B. მაჟორიტარული წესით არჩეული წევრებისაგან.  
 C. პროპორციული და მაჟორიტარული წესით არჩეული წევრებისაგან.  
 D. აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოდან დელეგირებული წევრებისაგან.
12. საქართველოს პარლამენტის პალატის – სენატის 5 წევრის დანიშვნის უფლება ექნება:

- A. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.
- B. საქართველოს პარლამენტის ბიუროს.
- C. საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ორ მესამედს.
- D. საქართველოს პრეზიდენტს.

13. შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთი პალატის - სენატის ფორმირება უნდა მოხდეს შემდეგი პრინციპის საფუძველზე:

- A. სენატორთა ნაწილი არჩეული იქნება აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში და სხვა ტერიტორიულ ერთეულებში, 5 წევრი დაინიშნება საქართველოს პრეზიდენტის მიერ.
- B. სენატორთა საერთო რიცხვის ორი მესამედი არჩეული იქნება აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ერთი მესამედი დაინიშნება საქართველოს პრეზიდენტის მიერ.
- C. სენატის მთელი შემადგენლობა არჩეული იქნება საქართველოს ტერიტორიულ ერთეულში.
- D. სენატის შემადგენლობის ნახევარს დანიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ნახევარს აირჩევს საქართველოს პარლამენტი.

14. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოში ორპალატიანი პარლამენტის შექმნისას, რომელი ნორმატიული აქტით განისაზღვრება პალატების უფლებამოსილება, შემადგენლობა და არჩევის წესი.

- A. საქართველოს კონსტიტუციით.
- B. საქართველოს კონსტიტუციური კანონით.
- C. საქართველოს ორგანული კანონით.
- D. საქართველოს კანონით.

15. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა:

- A. ამომრჩევლები.
- B. სამოქალაქო საზოგადოება.
- C. ავტონომიური რესპუბლიკები, რაიონები, ქალაქები, სოფლები, დაბები და თემები.
- D. ხალხი.

16. ხალხის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების პრინციპი დაფიქსირებულია:

- A. ნორმატიული წესით არ არის დაფიქსირებული, მაგრამ საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს ბუნებიდან გამომდინარე, იგი იგულისხმება.
- B. საქართველოს კონსტიტუციაში.
- C. საქართველოს ორგანულ კანონში “რეფერენდუმის შესახებ”.
- D. საქართველოს მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში.

17. რეფერენდუმი არის:

- A. უშუალო დემოკრატიის ფორმა.

- B. შუალობითი დემოკრატიის ფორმა.
- C. წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმა.
- D. რეპრეზენტატიული დემოკრატიის ფორმა.

18. რომელ პრინციპზე დაყრდნობით ხორციელდება საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლება?
- A. ხელისუფლების განუყოფლობის პრინციპის საფუძველზე.
  - B. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საფუძველზე.
  - C. ხელისუფლების ერთიანობის პრინციპის საფუძველზე.
  - D. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის საფუძველზე.
19. საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი, რომლითაც სახელმწიფოს ცალკეულ რეგიონებში ქართულის გარდა სახელმწიფო ენად მიჩნეული იქნა კომპაქტურად მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ენა. ორგანული კანონი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლს. ამისდა მიუხედავად, მისი მიღება:
- A. დასაშვებია, რადგან იცავს ეთნიკურ უმცირესობათა ინტერესებს.
  - B. დასაშვებია, რადგანაც კანონი ორგანულია.
  - C. დაუშვებელია, რადგანაც საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობა ქართველია.
  - D. დაუშვებელია, რადგან საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.
20. სახელმწიფოს უზენაესი კანონია:
- A. პრეზიდენტის ბრძანებულება.
  - B. კონსტიტუცია.
  - C. ორგანული კანონი.
  - D. პრეზიდენტის დეკრეტი.
21. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან შედარებით:
- A. ყოველთვის.
  - B. თუ იგი ეხება, იგივე, შიდანორმატიული აქტით მოწესრიგებულ ურთიერთობებს.
  - C. თუ იგი რატიფიცირებულია პარლამენტის მიერ არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.
  - D. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებისას სარეკომენდაციო ხასიათი აქვთ.
22. ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი:
- A. ხელისუფლების განხორციელებისას ზღუდავს მხოლოდ სახელმწიფოს, მაგრამ არა ხალხს.
  - B. ხელისუფლების განხორციელებისას ზღუდავს მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენლობით ორგანოებს.
  - C. ხელისუფლების განხორციელებისას ზღუდავს მხოლოდ სახელმწიფოს აღმასრულებელ ორგანოებს.
  - D. ხელისუფლების განხორციელებისას ზღუდავს ხალხს და სახელმწიფოს.

23. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება:
- A. კანონით.
  - B. კონსტიტუციური შეთანხმებით.
  - C. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.
  - D. ორგანული კანონით.
24. საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები დადგენილია:
- A. საქართველოს პარლამენტის დადგენილებით.
  - B. კონსტიტუციური შეთანხმებით.
  - C. საქართველოს ორგანული კანონით.
  - D. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.
25. ვინ წყვეტს საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხს (საქართველოს კონსტიტუციისა და ორგანული კანონის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ მიხედვით)?
- A. ვერავინ, საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.
  - B. საქართველოს უზენაესი სასამართლო.
  - C. საქართველოს პრეზიდენტი.
  - D. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.
26. საქართველოს მოქალაქეობის საკითხს კონსტიტუციაში დათმობილი აქვს:
- A. პირველი თავი.
  - B. მეორე თავი.
  - C. მეოთხე თავი.
  - D. მეხუთე თავი.
27. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება:
- A. მხოლოდ დაბადებით.
  - B. საქართველოს მოქალაქეობის მიღებით (ნატურალიზაციით).
  - C. როგორც დაბადებით, ასევე ნატურალიზაციით.
  - D. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
28. ვინ წყვეტს უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოს მოქალაქედ მიღების საკითხს (საქართველოს კონსტიტუციისა და ორგანული კანონის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ მიხედვით)?
- A. საქართველოს პრეზიდენტი.
  - B. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.
  - C. საქართველოს იუსტიციის მინისტრი.
  - D. საქართველოს უზენაესი სასამართლო.
29. შეიძლება თუ არა, რომ საქართველოს მოქალაქე იმავდროულად იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე?

- A. არ შეიძლება იყოს.
  - B. შეიძლება იყოს საერთაშორისო ხელშეკრულებითა და შეთანხმებით დადგენილ გამონაკლის შემთხვევაში.
  - C. შეიძლება იყოს კონსტიტუციით დადგენილ გამონაკლის შემთხვევაში.
  - D. შეიძლება იყოს პარლამენტის გადაწყვეტილებით.
30. უცხო ქვეყნის მოქალაქეს, გამონაკლის შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი ანიჭებს საქართველოს მოქალაქეობას, თუ:
- A. ამ მოქალაქემ შეაგროვა მომხრეთა ხელმოწერები არანაკლებ 5 ათასისა.
  - B. ამ მოქალაქეს საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება, ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.
  - C. საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ამის შესახებ.
  - D. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
31. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება:
- A. პარლამენტის დადგენილებით.
  - B. ორგანული კანონით.
  - C. სისხლის სამართლის კოდექსით.
  - D. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
32. საქართველოს დიპლომატიური სამსახურის საქმიანობა განისაზღვრება:
- A. საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით.
  - B. ორგანული კანონით.
  - C. საქართველოს კონსტიტუციით.
  - D. შესაბამის შემთხვევებში მიღებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით.
33. ქალთა მოძრაობა მამაკაცებთან მათი უფლებების გათანაბრებისათვის.
- A. მონდელიზმი.
  - B. მატრიარქატი.
  - C. ფემინიზმი.
  - D. შოვინიზმი.
34. დემოკრატიული სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს მოქალაქის უფლებაა:
- A. დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა.
  - B. აუკრძალოს თავისი ოჯახის სრულუფლებიან წევრს გაერთიანდეს რელიგიურ სექტაში.
  - C. დაანგრიოს მის ეზოში აღმოჩენილი ისტორიული ძეგლი.
  - D. არ დაემორჩილოს ახლადმიღებულ კანონს, რომელიც 2 დღეა ძალაში შევიდა.
35. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს:
- A. მხოლოდ საქართველოში.
  - B. საქართველოსა და იმ ქვეყნებში, რომელთანაც დამყარებული აქვს დიპლომატიური ურთიერთობა.
  - C. საქართველოსა და იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებენ საქართველოს საელჩოები.
  - D. განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.

36. პარლამენტის დადგენილებით საქართველოს მოქალაქე ნ-მე, იმის გამო, რომ არაერთგზის იყო ნასამართლავი და წარმოადგენდა საზოგადოებისათვის მომეტებულად საშიშ პიროვნებას, გაძევებულ იქნა საქართველოდან. რამდენად სწორია პარლამენტის გადაწყვეტილება?
- A. არ არის სწორი, რადგანაც საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით და არა პარლამენტის დადგენილებით.
  - B. არ არის სწორი, რადგანაც საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება არ დაიშვება.
  - C. სწორია, რადგანაც საქართველოს პარლამენტს, როგორც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია მიიღოს დადგენილება საზოგადოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ყველა საკითხზე.
  - D. სწორია, რადგანაც ამას მოითხოვდა საზოგადოების უსაფრთხოება.
37. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება შეუძლია:
- A. საქართველოს პარლამენტს.
  - B. საქართველოს პრეზიდენტს.
  - C. საქართველოს უზენაეს სასამართლოს.
  - D. არავის, საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.
38. უცხო სახელმწიფოსათვის მოქალაქის გადაცემა შეიძლება გასაჩივრდეს:
- A. პრეზიდენტთან.
  - B. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში.
  - C. სასამართლოში.
  - D. უცხო სახელმწიფოსათვის მოქალაქის გადაცემა გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
39. რას ნიშნავს «იმპიჩმენტი»?
- A. საარჩევნო სისტემას.
  - B. თანამდებობიდან ვადაზე ადრე გადაყენებას.
  - C. თანამშრომლობას.
  - D. მასობრივ გამოსვლას ვისმე წინააღმდეგ.
40. განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია:
- A. სრულწლოვანობის მიღწევის მომენტიდან.
  - B. თუ იგი არ არის აღიარებული არაქმედუნარიანად.
  - C. თუ იგი საქართველის მოქალაქეა.
  - D. დაბადებიდანვე.
41. საქართველოს კონსტიტუციით საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება აქვს
- A. ყველა ადამიანს.
  - B. ყველა ადამიანს, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც არ იმყოფებიან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.
  - C. მხოლოდ დიდ ქალაქებში მცხოვრებ ადამიანს.
  - D. მხოლოდ ჯანმრთელ ადამიანს.

42. ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის პრინციპი დაფიქსირებულია:
- A. სამოქალაქო კოდექსში.
  - B. სისხლის სამართლის კოდექსში.
  - C. საქართველოს კონსტიტუციაში.
  - D. ეს პრინციპი დამოუკიდებელი სახით არცერთ ნორმატიულ აქტში არ არის დაფიქსირებული.
43. როდის არის დასაშვები ადამიანისადმი პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა?
- A. დაუშვებელია.
  - B. საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს.
  - C. როდესაც ჩაიდენს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს.
  - D. თუ ეს ემსახურება კანონიერ მიზანს.
44. დემოკრატიულ ქვეყნებში ადამიანის პატივის ან ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება:
- A. დასაშვებია დანაშაულის თავიდან აცილებისა და გახსნის მიზნით.
  - B. დასაშვებია საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს.
  - C. დასაშვებია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.
  - D. დაუშვებელია.
45. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად უფლებამწიფებული პირის:
- A. დაკითხვა.
  - B. დაკითხვა ადვოკატის თანდასწრებით.
  - C. შეხვედრა ახლო ნათესავებთან.
  - D. ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.
46. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით რომელი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზეა დაშვებული ადამიანის თავისუფლების აღკვეთა?
- A. პროკურორის სანქციის საფუძველზე.
  - B. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.
  - C. სასამართლოსა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე.
  - D. საქართველოს სახალხო დამცველის გადაწყვეტილების საფუძველზე.
47. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებამწიფებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს:
- A. განსჯადობის მიხედვით.
  - B. ნებისმიერ სასამართლოს, განსჯადობას არა აქვს მნიშვნელობა.
  - C. დამაკავებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
  - D. საამისოდ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით.



48. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დაკავებული ან დაპატიმრებული პირი, მისი მოთხოვნით დამცველის დახმარებით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს:
- დაკავების ან დაპატიმრებისთანავე.
  - დაკავებიდან არა უგვიანეს 24 საათის განმავლობაში.
  - დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათის განმავლობაში.
  - დაკავებიდან არა უგვიანეს 72 საათის განმავლობაში.
49. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს:
- 3 თვეს.
  - 6 თვეს.
  - 9 თვეს.
  - 12 თვეს.
50. სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს:
- საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.
  - სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.
  - დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით.
  - თუ მათი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს.
51. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება აქვს:
- მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს.
  - საქართველოს მოქალაქეს, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირს.
  - ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში.
  - არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
52. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით არავის არა აქვს საცხოვრებელ ბინაში შესვლის, აგრეთვე ჩხრეკის ჩატარების უფლება:
- თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება
  - თუ არ არის პროკურორის სანქცია.
  - თუ არ არის საპატრულო პოლიციის ნებართვა.
  - თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.
53. საქართველოდან თავისუფალი გასვლის უფლება:
- არ შეიძლება შეიზღუდოს.
  - შეიძლება შეიზღუდოს მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.
  - შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისათვის.
  - შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ მოქალაქეობის არმქონე პირებისა და ემიგრანტებისათვის.

54. საქართველოში თავისუფლად შემოსვლის უფლება აქვთ:
- A. ემიგრანტებს.
  - B. ლტოლვილებს საომარი მოქმედების რეგიონიდან.
  - C. საქართველოს მოქალაქეებს.
  - D. მოქალაქეობის არმქონე პირებს.
55. დემოკრატიულ ქვეყნებში შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა:
- A. დაუშვებელია.
  - B. დაიშვება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.
  - C. დაიშვება სხვა ადამიანის კანონიერი უფლების დაცვის მიზნით.
  - D. დაიშვება, თუ არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.
56. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დასაშვებია თუ არა შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა?
- A. მიუღებელია.
  - B. დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.
  - C. დასაშვებია, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს მწერალთა კავშირი.
  - D. დასაშვებია, თუ იგი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.
57. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით აქვს თუ არა ვინმეს მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება?
- A. აქვთ მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის მქონე პირებს.
  - B. მხოლოდ სახელმწიფოს არ აქვს მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.
  - C. აქვთ მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ცალკეულ პირებს.
  - D. არც სახელმწიფოს და არც ცალკეულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.
58. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიქმნა.
- A. 1926 წელს.
  - B. 1939 წელს.
  - C. 1945 წელს.
  - D. 1955 წელს.
59. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით რა შემთხვევაში შეიძლება დაწესდეს შეკრების ჩატარების შესახებ ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა?
- A. თუ შეკრება ხალხისა და ტრანსპორტის სამომხრად ადგილას იმართება.
  - B. თუ შეკრებაში 1000 ადამიანზე მეტი მიიღებს მონაწილეობას.
  - C. თუ შეკრებაში მდედრობითი სქესის მოქალაქეები მიიღებენ მონაწილეობას.
  - D. თუ შეკრებაზე პოლიტიკური ხასიათის საკითხებზე იქნება მსჯელობა.

60. პროფესიული კავშირების შექმნის და მათში გაერთიანების უფლება აქვს:
- ყველას.
  - მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს.
  - ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან საჯარო სამსახურში.
  - ყველას გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში.
61. პოლიტიკური პარტიის შექმნის უფლება აქვთ:
- საქართველოს მოქალაქეებს.
  - როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ისე უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს.
  - როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ისე იმ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, ვისთანაც საქართველოს აქვს დიპლომატიური ურთიერთობა.
  - პოლიტიკური მრწამსისათვის დევნილ უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქეებს, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე.
62. პოლიტიკურ პარტიათა, სხვა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და მათ საქმიანობაში მონაწილეობის წესი განისაზღვრება:
- კანონით.
  - ორგანული კანონით.
  - კონსტიტუციური კანონით.
  - პარლამენტის დადგენილებით.
63. დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა, რომელიც ეწევა:
- ხელისუფლების კრიტიკას.
  - ომის ან ძალადობის პროპაგანდას.
  - მმართველობის მონარქიული ფორმის პროპაგანდას.
  - საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმის პროპაგანდას.
64. საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის მოსახლეობამ შექმნა პოლიტიკური გაერთიანება. გაერთიანების წესდებაში ჩაიწერა, რომ გაერთიანების მიზანია საქართველოს იმ საზღვრებში აღდგენა, რომლებშიც იგი 1918-1921 წწ. იმყოფებოდა, ამ მიზნის მისაღწევად, გაერთიანების წესდება არ გამორიცხავს შეიარაღებული ჯგუფების შექმნის აუცილებლობას. წესდება და სხვა საჭირო დოკუმენტები საინიციატივო ჯგუფმა წარადგინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციისათვის. იუსტიციის სამინისტრომ უარი უთხრა რეგისტრაციაზე. რამდენად სწორია იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება?
- სწორია, ვინაიდან პოლიტიკური პარტიებისა და სხვა პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლო.
  - სწორია, ვინაიდან დაუშვებელია პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.
  - არასწორია, ვინაიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ყოველი ქართველის მიზანი უნდა იყოს.
  - არასწორია, ვინაიდან განაცხადის შეტანის დროისათვის გაერთიანებას ჯერ არ ჰყავდა შექმნილი შეიარაღებული ჯგუფი.

65. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით პირი, რომელიც გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად:
- A. განაგრძობს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.
  - B. განაგრძობს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას, სანამ არ იქნება პოლიტიკური გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოს თანხმობა გაერთიანების წევრობიდან გასვლის შესახებ.
  - C. წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.
  - D. პოლიტიკური გაერთიანების წევრობის საკითხს წყვეტს საკუთარი შეხედულებით.
66. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან აკრძალვა შეიძლება:
- A. საქართველოს პარლამენტის დადგენილებით.
  - B. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით.
  - C. მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.
  - D. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით.
67. საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა ვენესუელის რამდენიმე მოქალაქემ, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობის სურვილით, განიზრახეს პოლიტიკური პარტიის შექმნა. ამ მიზნით, მათ კონსტიტუციური სარჩელით მიმართეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნით, არაკონსტიტუციურად გამოცხადებულიყო საარჩევნო კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს ანიჭებს. საკონსტიტუციო სასამართლოს ქვემოთ ჩამოთვლილ გადაწყვეტილებიდან რომელი იქნება სწორი?
- A. საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა მიიღოს სარჩელი განსახილველად, ვინაიდან დავის საგანი მისი განსჯადი არ არის.
  - B. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი, ვინაიდან უცხოელი მოსარჩელები მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და მათ იგივე პოლიტიკური უფლებები აქვთ, რაც საქართველოს მოქალაქეებს.
  - C. საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოს შეუძლია უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის დააწესოს პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.
  - D. საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა განიხილოს სარჩელი, ვინაიდან ეს მხოლოდ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს განსჯადი საკითხია.
68. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა:
- A. ქვეყანაში გადაადგილების შეზღუდვა.
  - B. პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა
  - C. ბიზნეს საქმიანობის შეზღუდვა.
  - D. არც ერთი პასუხი სწორი არ არის.

69. რეფერენდუმში, სახელმწიფო ან თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება საქართველოს მოქალაქეს აქვს:
- 16 წლის ასაკიდან.
  - 18 წლის ასაკიდან.
  - 21 წლის ასაკიდან.
  - 23 წლის ასაკიდან.
70. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით არჩევნებისას ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლინებაზე კონტროლი:
- დაუშვებელია.
  - დასაშვებია სახელმწიფო უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე.
  - დასაშვებია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე.
  - დასაშვებია მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.
71. აღმასრულებელი ხელისუფლება არის:
- ხალხის მიერ არჩეული ორგანო.
  - პრეზიდენტის სურვილით შექმნილი ორგანო.
  - ხელისუფლების შტო.
  - კანონმდებელი ძალა.
72. საჯარო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება პირადი ან ჯგუფური გამორჩენის მიზნით არის.
- ნეოპოტიზმი.
  - ლობიზმი.
  - ინდივიდუალიზმი.
  - კორუფცია.
73. რომელ წელს დაიშალა სსრკ?
- 1980 წელს.
  - 1990 წელს.
  - 1991 წელს.
  - 1992 წელს.
74. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ვის აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა?
- მხოლოდ დაბადებით საქართველოს მოქალაქეებს.
  - საქართველოს ყველა მოქალაქეს თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
  - საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს.
  - საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს.
75. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად შრომა:
- თავისუფალია.
  - სავალდებულოა.
  - გარანტირებულია.
  - უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ.

76. საქართველოში სავალდებულოა:
- საშუალო განათლება.
  - უმადლესი განათლება.
  - დაწყებითი და საბაზო განათლება.
  - არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
77. უდანაშაულობის პრეზუმციის თანახმად ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე:
- მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება საბრალდებო დასკვნით.
  - თვითონ არ აღიარებს საკუთარ დანაშაულს.
  - მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.
  - მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება წინასწარი გამოძიების პროცესში.
78. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს:
- გამოძიების ორგანოს სასარგებლოდ.
  - ბრალდების მხარის სასარგებლოდ.
  - ბრალდებულის სასარგებლოდ.
  - დაზარალებულის სასარგებლოდ.
79. თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს:
- ყოველ ადამიანს.
  - მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს.
  - მხოლოდ ქმედუნარიან მოქალაქეს.
  - არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
80. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით კანონს უკუძალა არა აქვს:
- თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას.
  - თუ ის არ ითვალისწინებს შეცვლილ გარემოებებს.
  - თუ ის არ ამძიმებს ან არ ადგენს პასუხისმგებლობას.
  - არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
81. სახალხო დამცველი:
- საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიშნება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით.
  - აირჩევა საქართველოს პარლამენტის მიერ პარლამენტის უფლებამოსილების ვადით.
  - აირჩევა საქართველოს პარლამენტის მიერ 5 წლის ვადით.
  - საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიშნება საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ვადით.
82. ქვემოთ ჩამოთვლილი წახალისების ფორმებიდან რომელი არ გამოიყენება საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურობრივი მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის წახალისებლად?
- ერთდროული ფულადი ჯილდო.
  - ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება.
  - შვებულების ვადის გაგრძელება.
  - მადლობის გამოცხადება.

83. რას უწოდებენ იმიჯის შემქმნელ სპეციალისტს?
- სინდოქტორს.
  - მოდელერს.
  - სპიჩრაიტერს.
  - იმიჯმეიკერს.
84. საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია:
- აწარმოოს მოკვლევა.
  - აწარმოოს გამოძიება.
  - გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები.
  - დააჯარიმოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევაში მხილებული ორგანო ან თანამდებობის პირი.
85. კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით:
- ვრცელდება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე.
  - ვრცელდება, როგორც ფიზიკურ, აგრეთვე იურიდიულ პირებზე.
  - ვრცელდება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე.
  - არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე.
86. საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება:
- საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.
  - სხვა ადამიანის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით.
  - კონსტიტუციური წესრიგის დაცვის მიზნით.
  - თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ლახავენ სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.
87. საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს შეზღუდოს კონსტიტუციით აღიარებული რიგი უფლებანი და თავისუფლებანი:
- თასვისი შეხედულებისამებრ.
  - საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს.
  - ნებისმიერ დროს.
  - საქართველოს პარლამენტის თანხმობით, ნებისმიერ დროს.
88. ჩატარდება თუ არა საქართველოს პარლამენტის არჩევნები, თუ ქვეყნის რომელიმე ნაწილში შემოღებულია საგანგებო მდგომარეობა?
- თუ ქვეყნის რომელიმე ნაწილში შემოღებულია საგანგებო მდგომარეობა, საქართველოს პარლამენტის არჩევნები არ ჩატარდება.
  - თუ ქვეყნის რომელიმე ნაწილში შემოღებულია საგანგებო მდგომარეობა, საქართველოს პარლამენტის არჩევნები ჩატარდება მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ.
  - თუ ქვეყნის რომელიმე ნაწილში შემოღებულია საგანგებო მდგომარეობა, ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი.

- D. თუ ქვეყნის რომელიმე ნაწილში შემოდებულია საგანგებო მდგომარეობა, ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი.
89. საქართველოს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა პოლიტიკური მრწამსისათვის დევნილმა მოქალაქეობის არმქონე პირმა. შესაძლებელია თუ არა მისი თხოვნის დაკმაყოფილება?
- არა, რადგანაც პოლიტიკური თავშესაფარი მიეცემა უცხო სახელმწიფოს მიერ დევნილ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს.
  - არა, რადგანაც დაუშვებელია პოლიტიკური თავშესაფრის მიცემა მოქალაქეობის არმქონე პირისათვის.
  - დიახ, რადგანაც მოქალაქეობის არმქონე პირს ყოველთვის შეუძლია პოლიტიკური თავშესაფარი მიიღოს საქართველოში.
  - დიახ, რადგანაც სხვა სათანადო პირობების არსებობისას, მოქალაქეობის არქონა არ წარმოადგენს პოლიტიკური თავშესაფარის მიცემის ხელისშემშლელ გარემოებას.
90. საქართველოს კანონი ძალაში შედის:
- მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-10 დღეს.
  - მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს.
  - აუცილებელია შესაბამისი ვადის დადგენა.
  - მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი.
91. თუ პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს:
- საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
  - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
  - საქართველოს პარლამენტის იმ სხდომის წამყვანი, რომელ სხდომაზეც იქნა მიღებული შესაბამისი კანონი.
  - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.
92. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით თუ პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას. კანონი ან ორგანული კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის:
- სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესამედმა.
  - სრული შემადგენლობის არანაკლებ სამმა მეხუთედმა.
  - სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესამედმა.
  - სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამმა მეხუთედმა.
93. საქართველოს კონსტიტუციის შესწორება ჩაითვლება მიღებულად, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის:
- სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესამედმა.
  - სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.
  - სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესამედმა.
  - სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.



94. თუ მთავრობა კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ წარმოადგენს შენიშვნებს საქართველოს პარლამენტში განსახილველ კანონპროექტთან დაკავშირებით, კანონპროექტი მთავრობის მიერ:
- ჩაითვლება დაწუნებულად.
  - ჩაითვლება მოწონებულად.
  - ჩაითვლება მისაღებად.
  - ჩაითვლება მიუღებლად.
95. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით რა შემთხვევაში განიხილავს პარლამენტი რიგგარეშე, პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანონპროექტს?
- ყველა შემთხვევაში.
  - პრეზიდენტის მოთხოვნით.
  - პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოთხოვნით.
  - პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოთხოვნით.
96. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს:
- საქართველოს სახელმწიფო მინისტრს.
  - არანაკლებ 30 000 ამომრჩეველს.
  - აფხაზეთის უმაღლეს ადმსრულებელ ორგანოს.
  - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს.
97. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ვის არა აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება:
- საქართველოს მთავრობას.
  - პარლამენტის წევრს.
  - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.
  - საქართველოს უზენაეს სასამართლოს.
98. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს:
- პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
  - პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
  - პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.
  - პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.
99. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა:
- ერთი მესამედი.
  - ერთი მეხუთედი.
  - ორი მეხუთედი.
  - სამი მეხუთედი.
100. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაში უნდა შეჩერდეს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება საქართველოს პარლამენტში?
- თუ ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.
  - თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შესულია კონსტიტუციური სარჩელი ამის თაობაზე.
  - თუ ამას მოითხოვს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

- D. თუ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.
101. ვის უნდა ეცნობოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა დადების შესახებ:
- საქართველოს მთავრობას.
  - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს.
  - საქართველოს პარლამენტს.
  - საკონსტიტუციო სასამართლოს.
102. თუ საერთაშორისო ხელშეკრულება სამხედრო ხასიათისაა, მისი რატიფიკაცია:
- სავალდებულოა.
  - არ არის სავალდებულო.
  - სავალდებულოა, თუ ამის შესახებ პარლამენტს თხოვნით მიმართავს საგარეო საქმეთა მინისტრი.
  - სავალდებულოა, თუ ამის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი.
103. საქართველოს პარლამენტი საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას ახდენს:
- საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
  - საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ორი მესამედით.
  - საქართველოს პარლამენტის დამსწრეთა სრული შემადგენლობით.
  - საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედით.
104. იმპიჩმენტის წესით საქართველოს მთავრობის წევრის გადაყენება შეიძლება:
- პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
  - პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
  - პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედით.
  - პარლამენტის სიითი შემადგენლობის ორი მესამედით.
105. კონსტიტუციის დარღვევისას, სახელმწიფო ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენისათვის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს:
- საქართველოს პრეზიდენტს.
  - საქართველოს პარლამენტს.
  - საკონსტიტუციო სასამართლოს.
  - საერთო სასამართლოს.
106. კონსტიტუციის დარღვევისას ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს:
- ეროვნული ბანკის პრეზიდენტს.
  - ეროვნული ბანკის საბჭოს დანარჩენ წევრებს.
  - საქართველოს პრეზიდენტს.
  - საქართველოს პარლამენტს.

107. თუ პარლამენტმა განსაზღვრულ ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების შესახებ, მომდევნო რამდენი წლის განმავლობაში არ შეუძლია წარუდგინოს იგივე ბრალდება:
- მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში.
  - მომდევნო სამი წლის განმავლობაში
  - მომდევნო ორი წლის განმავლობაში.
  - მომდევნო ერთი წლის განმავლობაში.
108. რა შემთხვევაში ჩაითვლება საქართველოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად:
- თუ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-მა.
  - თუ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-მა.
  - თუ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარმა.
  - თუ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
109. იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს:
- საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.
  - საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.
  - საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორ მესამედს.
  - საქართველოს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორ მესამედს.
110. საქართველოს პარლამენტმა საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ პრეზიდენტის გადაწყვეტილება დაამტკიცა პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით: სწორად მოიქცა თუ არა პარლამენტი?
- არ მოიქცა სწორად, რადგან საჭირო იყო პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ორი მესამედი.
  - სწორად მოიქცა, რადგან პარლამენტი ამ გადაწყვეტილებას ამტკიცებს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
  - არ მოიქცა სწორად, რადგანაც საგანგებო მდგომარეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ პრეზიდენტს, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლეს მთავარსარდალს და ამ გადაწყვეტილებას არ სჭირდება პარლამენტის მიერ დამტკიცება.
  - არ მოიქცა სწორად, რადგანაც საჭირო იყო რეფერენდუმის მოწყობა.
111. ვინ იღებს გადაწყვეტილებას ომისა და ზავის შესახებ?
- 300000 ამომრჩეველი.
  - საქართველოს პრეზიდენტი.
  - საკონსტიტუციო სასამართლო.
  - საქართველოს პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

112. საქართველოს პარლამენტი იკრიბება პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებიდან:
- დაუყოვნებლივ.
  - 24 საათის განმავლობაში.
  - 48 საათის განმავლობაში.
  - 72 საათის განმავლობაში.
113. ვისი ინიციატივით იწვევს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიას საქართველოს პრეზიდენტი?
- საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ინიციატივით.
  - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოთხოვნით.
  - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ინიციატივით.
  - საქართველოს არასაპარლამენტო პარტიათა საბჭოს მოთხოვნით.
114. საქართველოს პარლამენტის საშემოდგომო სესია იხსნება:
- სექტემბრის პირველ სამშაბათს.
  - სექტემბრის მეორე სამშაბათს
  - სექტემბრის პირველ ხუთშაბათს
  - სექტემბრის მეორე ხუთშაბათს.
115. საქართველოს პარლამენტის საშემოდგომო სესია იხურება:
- დეკემბრის მეორე პარასკევს.
  - დეკემბრის მესამე პარასკევს.
  - დეკემბრის მეორე სამშაბათს.
  - დეკემბრის მესამე სამშაბათს.
116. საქართველოს პარლამენტი თავის მორიგ სხდომაზე იკრიბება:
- წელიწადში ოთხჯერ საზამთრო, საგაზაფხულო, საზაფხულო და საშემოდგომო სესიებზე.
  - წელიწადში სამჯერ საგაზაფხულო, საშემოდგომო და საზამთრო სესიებზე.
  - წელიწადში ორჯერ საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიებზე.
  - კანონმდებლობაში ეს საკითხი არ არის განსაზღვრული.
117. პარლამენტის სხდომის ოქმი საიდუმლო საკითხების გამოკლებით ქვეყნდება:
- ბეჭდვით მედიაში.
  - ინტერნეტ გამოცემებში.
  - არც ერთი პასუხი სწორი არ არის.
  - საკანონმდებლო მაცნეში.
118. შეიძლება თუ არა საჯარო სხდომის ნაცვლად ჩატარდეს საქართველოს პარლამენტის დახურული სხდომა?
- არ შეიძლება, ვინაიდან საქართველოს პარლამენტი ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოა და მისი საქმიანობის შესახებ სრული ინფორმაცია ყველასათვის ცნობილი უნდა იყოს.
  - შეიძლება, მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვის დროს, თუ სხდომის დახურვას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

- C. შეიძლება, მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის განხილვისას.
- D. შეიძლება, ცალკეული საკითხების განხილვისას პარლამენტის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

119. პარლამენტის წევრთა რა რაოდენობას შეუძლია პრემიერ-მინისტრის წინაშე დასვას მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი?

- A. სრული შემადგენლობის 1/3-ს.
- B. სრული შემადგენლობის 2/3-ს.
- C. სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს.
- D. სრული შემადგენლობის უმრავლესობას.

120. ქვემოთ ჩამოთვლილ პირთაგან რომელი არ შედის საქართველოს პარლამენტის ბიუროს შემადგენლობაში:

- A. პარლამენტის თავმჯდომარე.
- B. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.
- C. საქართველოს პრეზიდენტი.
- D. საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე.

121. მართვის სამართლებრივი მეთოდის სახე

- A. გამოფენის მოწყობა.
- B. წახალისება.
- C. რეკლამირება.
- D. ინსტრუქტაჟი.

122. მონარქიული მმართველობის ფორმა

- A. ბიუროკრატიული.
- B. კონსტიტუციური.
- C. დიქტატურული.
- D. ოლიგარქიული.

123. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციისათვის იქმნება:

- A. პარლამენტის ბიურო.
- B. პარლამენტის კომიტეტი.
- C. ფრაქცია.
- D. პარლამენტის აპარატი.

124. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების და მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტში მისი უფლებამოსილების ვადით იქმნება:

- A. კომიტეტები.
- B. ბიურო.
- C. ფრაქციები.
- D. დროებითი კომისიები.

125. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ტექნიკური სახის რა განსხვავებაა საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და კომისიებს შორის?
- კომიტეტი იქმნება პარლამენტის უფლებამოსილების ვადით, კომისია – დროებითია.
  - კომიტეტის შემადგენლობაში მხოლოდ უმრავლესობის წარმომადგენლებია, კომისიებში - მხოლოდ ოპოზიციის.
  - კომისია მხოლოდ კანონპროექტების მომზადებისათვის იქმნება, ხოლო კომიტეტი მხოლოდ საიმპიჩმენტო საკითხების მოსამზადებლად.
  - კომიტეტის შემადგენლობაში მხოლოდ უმრავლესობის წარმომადგენლებია, კომისიაში უმრავლესობა შეადგენს 20 პროცენტს, დანარჩენი ოპოზიციის წარმომადგენელია.
126. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული წესით სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს პარლამენტის შენობაში ახორციელებს:
- საქართველოს პარლამენტის მანდატური
  - საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი.
  - საქართველოს პარლამენტის დაცვის სამსახურის უფროსი.
  - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
127. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა არის ერთ-ერთი დადასტურება იმისა, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო?
- საქართველოს ჰიმნის არსებობა.
  - საქართველოს მოქალაქეობის არსებობა და საქართველოს გაწევრიანება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.
  - 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.
  - 1993 წლის 6 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა.
128. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ვინ ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს?
- საქართველოს პარლამენტის ფრაქციათა საბჭო.
  - საქართველოს 200 000 ამომრჩეველი.
  - მას ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.
  - საქართველოს პარლამენტი.
129. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხს წყვეტს:
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
  - საქართველოს პარლამენტი.
  - ცენტრალური საარჩევნო კომისია.
  - საქართველოს პრეზიდენტი.
130. სად შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის გადაწყვეტილება?
- საქართველოს უზენაეს სასამართლოში.
  - ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.
  - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.
  - საქართველოს პრეზიდენტთან.

131. სახელმწიფო მმართველობის ფორმა
- A. დემოკრატია.
  - B. მონარქია
  - C. ოლიგარქია.
  - D. ოლქოკრატია.
132. პარლამენტის წევრი გასამრჯელოს იღებს:
- A. 2000 ლარის ოდენობით.
  - B. 1500 ლარის ოდენობით.
  - C. 1300 ლარის ოდენობით.
  - D. კანონით დადგენილი ოდენობით.
133. ვისი თანხმობით შეიძლება საქართველოს პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება?
- A. გენერალური პროკურორის.
  - B. საქართველოს მთავრობის.
  - C. საქართველოს პარლამენტის.
  - D. საქართველოს პრეზიდენტის.
134. პარლამენტის წევრის დანაშაულზე წასწრების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს:
- A. გენერალურ პროკურორს.
  - B. საქართველოს მთავრობას.
  - C. საქართველოს პარლამენტს.
  - D. საქართველოს პრეზიდენტს.
135. საქართველოს პარლამენტის წევრის გაწვევა:
- A. დასაშვებია, თუ იგი არ ასრულებს წინასაარჩევნო დაპირებებს.
  - B. დასაშვებია, თუ ამას წერილობით მოითხოვს ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი.
  - C. დასაშვებია, თუ ამას წერილობით მოითხოვს ამომრჩეველთა მესამედი მაინც.
  - D. დაუშვებელია.
136. როდის (რა შემთხვევაში) შეიძლება დაითხოვოს საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტი?
- A. პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვის განმავლობაში.
  - B. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში.
  - C. როცა პარლამენტი აყენებს პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს.
  - D. ჩამოთვლილთაგან არც ერთ შემთხვევაში.
137. საქართველოს პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნა დაუშვებელია:
- A. საშემოდგომო სესიის მიმდინარეობისას.
  - B. საგანგებო მდგომარეობის დროს.
  - C. პარლამენტის თავმჯდომარის საქართველოში არყოფნისას.
  - D. საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის პირველი ერთი წლის განმავლობაში.

138. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილება წყდება:
- ვადის გასვლამდე არა უგვიანეს სამი დღისა.
  - ვადამდე დათხოვნის შემთხვევაში.
  - ახალარჩეული პარლამენტის გადაწყვეტილებით.
  - ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე.
139. საქართველოს პარლამენტის არჩევნების თარიღს ნიშნავს:
- ცენტრალური საარჩევნო კომისია.
  - ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
  - საქართველოს პრეზიდენტი.
  - საქართველოს მთავრობა.
140. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის მხარდაჭერა დადასტურებულია:
- ორგანული კანონით განსაზღვრული ამომრჩევლების ხელმოწერით.
  - არა ნაკლებ 30 000 ამომრჩევლის ხელმოწერით.
  - არა ნაკლებ 20 000 ამომრჩევლის ხელმოწერით.
  - არა ნაკლებ 15 000 ამომრჩევლის ხელმოწერით.
141. ვინ იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს პარლამენტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების განაწილებაზე?
- საქართველოს მთავრობა.
  - ფინანსთა სამინისტრო.
  - საქართველოს პრეზიდენტი.
  - საქართველოს პარლამენტი.
142. პარლამენტის შინაგანი სტრუქტურა და მუშაობის წესი განისაზღვრება:
- პარლამენტის რეგლამენტით.
  - პარლამენტის ბიუროს დადგენილებით.
  - პარლამენტის საპროცედურო და წესების დაცვის კომიტეტის დადგენილებით.
  - საქართველოს პარლამენტის განკარგულებით.
143. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე:
- 18 წლის ასაკიდან.
  - 21 წლის ასაკიდან.
  - 25 წლის ასაკიდან.
  - 30 წლის ასაკიდან.
144. კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში ვინ უწევს კონტროლს მთავრობის საქმიანობას?
- პრემიერ-მინისტრი.
  - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
  - საქართველოს პარლამენტი.
  - საქართველოს უშიშროების საბჭო.



145. საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს:
- A. საქართველოს პრეზიდენტი.
  - B. საქართველოს მთავრობა
  - C. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
  - D. საქართველოს პარლამენტი.
146. ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო არის:
- A. საკონსტიტუციო სასამართლო.
  - B. უზენაესი სასამართლო.
  - C. საქართველოს პარლამენტი.
  - D. სახელმწიფო კანცელარია.
147. საქართველოს პრეზიდენტი არის:
- A. აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.
  - B. საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.
  - C. საკანონმდებლო ხელისუფლების მეთაური.
  - D. სასამართლო ხელისუფლების მეთაური.
148. ვინ არის საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში:
- A. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.
  - B. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე.
  - C. საქართველოს პრეზიდენტი.
  - D. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
149. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რამდენჯერ შეიძლება საქართველოს პრეზიდენტად აირჩეს ერთი და იგივე პიროვნება:
- A. ეს მხოლოდ ამომრჩეველზეა დამოკიდებული, პრეზიდენტად არჩევის რაოდენობა არ არის შეზღუდული.
  - B. მხოლოდ ორჯერ.
  - C. მხოლოდ სამჯერ.
  - D. ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
150. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა:
- A. ოთხი წლის ვადით.
  - B. ხუთი წლის ვადით.
  - C. პარლამენტის უფლებამოსილების ვადით.
  - D. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
151. რამდენი წლის ასაკიდან შეიძლება აირჩეს საქართველოს პრეზიდენტი?
- A. 30 წლის ასაკიდან.
  - B. 33 წლის ასაკიდან.
  - C. 34 წლის ასაკიდან.
  - D. 35 წლის ასაკიდან.

152. შეიძლება თუ არა საქართველოს პრეზიდენტად აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა?
- არ შეიძლება.
  - შეიძლება, თუ პირი აკმაყოფილებს პრეზიდენტად არჩევისათვის საჭირო სხვა პირობებს.
  - შეიძლება, თუ ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესები
  - არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
153. რამდენი კანდიდატი მონაწილეობს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში?
- პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ერთი კანდიდატი.
  - პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორი კანდიდატი.
  - ყველა კანდიდატი, რომელიც პირველ ტურში მონაწილეობდა და ამომრჩეველთა ხმების 7- პროცენტის ბარიერი გადალახა.
  - ამას განსაზღვრავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია არასამთავრობო ორგანიზაციების საბჭოსთან შეთანხმებით.
154. საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს:
- ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას.
  - ეკავოს პარტიული თანამდებობა.
  - იღებდეს ხელფასს რაიმე სხვა საქმიანობისათვის.
  - არცერთი აქ მოცემული პასუხი არ არის სწორი.
155. ვის აქვს მსჯავრდებულთა შეწყალების უფლება?
- იუსტიციის მინისტრს.
  - შინაგან საქმეთა მინისტრს.
  - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
  - საქართველოს პრეზიდენტს.
156. კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან დებს:
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
  - საქართველოს პრეზიდენტი.
  - საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
  - საქართველოს მთავრობა.
157. საქართველოს პრემიერ-მინისტრს ნიშნავს:
- საქართველოს პრეზიდენტი.
  - საქართველოს პარლამენტი.
  - საქართველოს პრეზიდენტი საპარლამენტო უმრავლესობის წარდგინებით.
  - საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის წარდგინებით.
158. საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის დროს ვინ არის უფლებამოსილი გამოაცხადოს საომარი მდგომარეობა?
- საქართველოს თავდაცვის მინისტრი.
  - უშიშროების საბჭოს მდივანი.
  - საქართველოს პრეზიდენტი.

- D. გენერალური შტაბის უფროსი.
159. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვინ ანიჭებს უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს:
- A. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.
  - B. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი.
  - C. პრემიერ-მინისტრი.
  - D. საქართველოს პრეზიდენტი.
160. პარლამენტის დათხოვნის უფლება აქვს:
- A. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.
  - B. საქართველოს პრეზიდენტს, კონსტიტუციით დადგენილ შემთხვევებში და წესით.
  - C. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.
  - D. საქართველოს პარლამენტის დათხოვნას საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს.
161. საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს:
- A. ბრძანებულებებსა და განკარგულებებს.
  - B. დადგენილებებს.
  - C. კანონებს.
  - D. დეკლარაციებს.
162. სახელმწიფო მართვის მონათესავე მეცნიერებაა
- A. მედიცინა
  - B. ისტორია.
  - C. ადმინისტრაციული სამართალი.
  - D. სისხლის სამართალი.
163. როგორი სქემაა მართვის იერარქია?
- A. განცალკევება.
  - B. განუყოფელი.
  - C. დაქვემდებარება.
  - D. იძულება.
164. რას ნიშნავს მართვის დეცენტრალიზაცია?
- A. მართვის ფუნქციების დაშლა.
  - B. ფუნქციების გაერთიანება.
  - C. ხელისუფლების დანაწილება.
  - D. ხელისუფლების გამიჯვნა.
165. მართვის ფორმა
- A. დაგეგმვა.
  - B. ნორმატიული აქტის გამოცემა.
  - C. პროგნოზირება.
  - D. სინთეზი.

166. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია ეკოლოგიური კატასტროფისა და ეპიდემიების დროს გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა და ეს გადაწყვეტილება პარლამენტში დასამტკიცებლად შეიტანოს არა უგვიანეს:
- 24 საათისა.
  - 48 საათისა.
  - ორი დღის ვადაში.
  - ერთი კვირის ვადაში.
167. საგანგებო მდგომარეობის დროს პრეზიდენტი უფლებამოსილია გამოსცეს:
- კანონი.
  - კანონის ძალის მქონე დეკრეტები
  - კანონის ძალის მქონე აქტი
  - არც ერთი პასუხი სწორი არ არის.
168. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს:
- თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი
  - თანამდებობაზე ნიშნავს და გადააყენებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.
  - თანამდებობაზე ნიშნავს და გადააყენებს საქართველოს პრეზიდენტი.
  - თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პარლამენტი.
169. წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს კანონით დადგენილი წესით ნიშნავს:
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
  - საქართველოს მთავრობა.
  - საქართველოს პრეზიდენტი.
  - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
170. საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების:
- მხედართმთავარი.
  - მთავარსარდალი.
  - უმადლესი მხედართმთავარი.
  - უმადლესი მთავარსარდალი.
171. რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება
- კანონით
  - ორგანული კანონით.
  - კონსტიტუციური კანონით.
  - კონსტიტუციური შეთანხმებით.
172. რეფერენდუმის მოწყობა შეიძლება:
- კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად.
  - ამნისტიისა და შეწყალების გამო.
  - საერთაშორისო და ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონისრების შესახებ.
  - არც ერთი პასუხი სწორი არ არის.

173. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს:
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.
  - საქართველოს პარლამენტი
  - საქართველოს მთავრობა.
  - პრეზიდენტობის კანდიდატები.
174. კონსტიტუციის თანახმად საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების შეუსრულებლობის ან საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს:
- საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
  - ვიცე-პრეზიდენტი.
  - პრეზიდენტის მიერ დროებით დანიშნული მოვალეობის შემსრულებელი.
  - არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
175. საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების პერიოდში პრემიერ-მინისტრის მოვალეობას ასრულებს:
- საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.
  - პირველი ვიცე-პრემიერის უფლებამოსილების მქონე მთავრობის წევრი.
  - საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივანი.
  - საქართველოს იუსტიციის მინისტრი.
176. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით პრემიერ-მინისტრის გადადგომა ან უფლებამოსილების შეწყვეტა:
- იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას.
  - იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას მათი თანხმობის შემთხვევაში.
  - იწვევს მთავრობის სხვა წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტას პრეზიდენტის თანხმობის შემთხვევაში.
  - მთავრობა პასუხისმგებელია საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე.
177. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას:
- სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
  - სრული შემადგენლობის ორი მესამედით.
  - სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედით.
  - სიითი შემადგენლობის ორი მეამედით.
178. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის:
- მართლმსაჯულების ორგანო.
  - საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო.
  - სახელმწიფო კონტროლის ორგანო.
  - საერთო სასამართლოების ორგანო.
179. ვინ ხელმძღვანელობს სახელმწიფო მართვის პროცესს?
- სახელმწიფო მოხელე.
  - დამხმარე მოხელე.
  - ტექნიკური მოხელე.

D. შტატგარეშე მოხელე.

180. ტერიტორიული წყლები მოიცავს
- A. 12 მილიან სანაპირო ზოლს
  - B. 10 მილიან სანაპირო ზოლს
  - C. 20 მილიან სანაპირო ზოლს
  - D. 32 მილიან სანაპირო ზოლს

181. საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ აქტორებს წარმოადგენენ:
- A. სახელმწიფოები.
  - B. ხალხები.
  - C. ერები.
  - D. სახელმწიფოთა გაერთიანებები.

182. საზოგადოების სწრაფ, ძალადობრივ და ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას ეწოდება:
- A. რევოლუცია.
  - B. რეფორმაცია.
  - C. ევოლუცია.
  - D. ნაციონალიზაცია.

183. ადამიანების გარკვეული კატეგორიისათვის უფლებების შეზღუდვა რასობრივი ან ნაციონალური ნიშნის მიხედვით:
- A. დისკრიმინაცია.
  - B. ფაშიზმი.
  - C. რასიზმი.
  - D. ნაციზმი.

184. პოლიტიკური საკითხებიდან რომელს აქვს აბსოლუტური პრიორიტეტი:
- A. ეროვნულ უსაფრთხოებას.
  - B. ეკონომიკურ უსაფრთხოებას.
  - C. ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.
  - D. დემოგრაფიულ უსაფრთხოებას.

185. სახელმწიფოში ორგანიზებული საზოგადოების არსებობის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს
- A. ტერიტორია.
  - B. პოლიტიკა.
  - C. დემოკრატია.
  - D. თალასოკრატია.

186. ეროვნული სახელმწიფოების იურისდიქციის მიღმა მდებარე ტერიტორიებს, საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, ეწოდება:
- A. საერთაშორისო ტერიტორია.
  - B. სასაზღვრო ტერიტორია.
  - C. სუვერენული ტერიტორია.
  - D. კონტინენტალური შელფი.

187. რას ნიშნავს ტერმინი “კონსენსუსი”:
- ლათინურად ნიშნავს “შეთანხმებას”
  - ბერძნულად ნიშნავს “საყოველთაოს”.
  - ლათინურად ნიშნავს “შენარჩუნებას”.
  - ბერძნულად ნიშნავს “დაკვირვებას”.
188. ერთი სახელმწიფოს ფარგლებში პოლიტიკურ-ეროვნული წარმონაქმნის თვითმართველობას ეწოდება:
- ავტონომია.
  - ფედერაცია.
  - კონფედერაცია.
  - უნიტარიზაცია.
189. რა ეწოდება ორ მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა შორის მოქცეულ პატარა სახელმწიფოს, როდესაც ორივე ცდილობს მის გამოყენებას ერთმანეთის წინააღმდეგ:
- ბუფერული სახელმწიფო.
  - სატელიტური სახელმწიფო.
  - ავტონომიური სახელმწიფო.
  - ფედერაციული სახელმწიფო.
190. რას ნიშნავს სუვერენიტეტი:
- სახელმწიფოს დამოუკიდებლობას.
  - სახელმწიფოს თანასწორობას.
  - სახელმწიფოს აღიარებას.
  - სახელმწიფოს კეთილდღეობას.
191. წარსულის მატერიალურ ან სულიერ სფეროში ადამიანების შემეცნებულ ან დაფიქსირებულ მოღვაწეობას ეწოდება:
- ისტორიული გამოცდილება.
  - პოლიტიკური გამოცდილება.
  - ცხოვრების წესი.
  - ტრადიციები და წეს-ჩვეულებები.
192. სადაური ტერმინია და რას ნიშნავს “ტერორი”:
- ლათინური და ნიშნავს: “ შიშს, თავზარს”.
  - ესპანური და ნიშნავს: ” საუკეთესოს, რჩეულს”.
  - იტალიური და ნიშნავს: ” შეკვრას, კონას”.
  - ბერძნული და ნიშნავს: ”ცუდ საქმინობას”.
193. რა ეწოდება ბრბოს ძალაუფლებას:
- ოხლოკრატია.
  - ბიუროკრატია.
  - პლუტოკრატია.
  - ავტოკრატია.

194. “ტოლერანტობა” არის:
- A. შემწყნარებლობა.
  - B. მიუკერძოებლობა.
  - C. ხელშეუხებლობა.
  - D. სათნოება.
195. სახელმწიფოებრივი მართვის ფორმა, რომლის დროსაც ხელისუფლება კონცენტრირებულია სასულიერო წოდების წარმომადგენელთა ხელში არის:
- A. თეოკრატია
  - B. პლუტოკრატია.
  - C. ფილოკრატია.
  - D. ბიუროკრატია.
196. რა არ შედის ე.წ. „შეზღუდული რესურსების” ცნებაში:
- A. სახელმწიფოებრივ – პოლიტიკური მოწყობის ფორმა.
  - B. კაპიტალი.
  - C. შრომისა და მეწარმეული უნარის ნაკლებობა.
  - D. მიწა.
197. როგორი არ შეიძლება იყოს ეკონომიკური პოლიტიკა:
- A. დემოკრატიული.
  - B. რეფორმატორული.
  - C. რევოლუციური.
  - D. კონსერვატორული.
198. შეიარაღებული ბრძოლა პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის არის:
- A. ომი.
  - B. ანექსია.
  - C. ოკუპაცია.
  - D. ბატალია.
199. რა არის პოლიტიკის მთავარი საკითხი:
- A. პოლიტიკური ხელისუფლება.
  - B. სახელმწიფო იდეოლოგია.
  - C. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.
  - D. ეკონომიკური უსაფრთხოება.
200. რა არ განეკუთვნება სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმებს:
- A. მონარქიული.
  - B. უნიტარული.
  - C. ფედერაციული.
  - D. კონფედერაციული.



გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს კონსტიტუცია 2014 წელს განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით. (იხ. საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი WWW.PARLIAMENT.GE

საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, 1997 წ.

საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ თბ. 2004 .

საქართველოს კანონი „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“, თბ. 2007

დოლონაძე შ. , იაშვილის გ. „საჯარო სამსახური საქართველოში-რეფორმები, გამოწვევები - ელექტრონული მთავრობა“, თბილისი, „ცის ნამი“, 2013

ქოჩორაძე ო. გეოპოლიტიკის საფუძვლები, თბილისი 2009 წ.